შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N 01-2

ქ. ბათუმი 2012 წლის 18 იანვარი 17[30] სთ.

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

გურამ ნინიძე	_ საწარმოს დირექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
ედვარდ ბალაძე	_ საწარმოს შესყიდვების მენეჯერი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ბლიაძე	_ საზოგადოების იურისტ-კონსულტი, კომისიის წევრი;
ზვიად ვარშალომიძე	_ საზოგადოების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოთა მენეჯერი, კომისიის წევრი;
ალექსანდრე პეშკოვი	_ საზოგადოების საიჯარო ურთიერთობების სპეციალისტი, კომისიის წევრი;
ზაურ ზაქარაძე	_ საზოგადოების ენერგომეურნეობის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
ომარ ტაკიძე	_ საზოგადოების დირექტორის თანაშემწე, კომისიის წევრი;
დავით გორგილაძე	_ საზოგადოების ადმინისტრატორი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი;

დღის წესრიგი:

1. შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2012 წლის 13 იანვარს გამოცხადებული N 258 კონკურსის საკონკურსო წინადებების პაკეტების გახსნის თაობაზე

მომხსენებელი _ გ. ნინიძე.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი

მომხსენებელი _ გ. ნინიძე.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით 2012 წლის 13 იანვარს გამოცხადდა კონკურსი N 258, რომელიც განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადებების მიღება იწყებოდა 2012 წლის 17 იანვარს და დასრულდა 2012 წლის 18 იანვარს 17[00] სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიის აპარატში შემოტანილია 1 (ერთი) დალუქული პაკეტი შპს „გზაპროექტი“-ს მიერ.

კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო პაკეტები ექვემდებარება გახსნას, რათა დადგინდეს წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი და შემოწმდეს თანდართული დოკუმენტაცია.

კომისიის აპარატის უფროსის დავით გორგილაძის მიერ გაიხსნა დალუქული პაკეტი და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი: 3 000 (სამი ათასი) ლარი.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება, რის შემდეგაც აღნიშნეს, რომ საკონკურსო განცხადება შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით

საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს:

დ. ბლიაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების, საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით საჭიროა საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნონ წარმოდგენილ და 10 ქულიანი შეფასების ცხრილით გამოავლინონ გამარჯვებული.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიას შესთავაზა საკონკურსო წინადადებების, საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისა და გამარჯვებული გამოვლენის ვადად განისაზღვროს 2012 წლის 20 იანვრის 12 საათამდე პერიოდი.

კომისიის სხდომამ დაადგინა:

1. შპს „სავაჭრო ცენტრი 2009"-ის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების, ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისა და გამარჯვებული გამოვლენის ვადად განისაზღვროს 2012 წლის 20 იანვრის 12 საათამდე პერიოდი;
2. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს საკონკურსო პროცედურების შემდგომი განხორციელება კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
3. საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომა დაინიშნოს 2012 წლის 19 იანვარს დღის 11^{00} სთ-ზე

კომისიის თავმჯდომარე — გ. ნინიძე

კომისიის წევრები — ე. ბალაძე

დ. ბლიაძე

ზ. ვარშალომიძე

ზ. ზაქარაძე

ა. პეშკოვი

ო. ტაკიძე

შემსრ. დავით გორგილაძე